IT სექტორი საქართველოში

მაისი 2024

ევა ბოჭორიშვილი
კვლევების დეპარტამენტის უფროსი | evabochorishvili@gt.ge | +995 322 401 111 - 8036

კახა სამყურაშვილი
სექტორული კვლევების უფროსი | ksamkurashvili@gt.ge | +995 322 401 111 - 4289

მარიამ ოქროპირიძე
ანალიტიკოსი | maokropiridze@gt.ge | +995 322 401 111 - 2495

IT სექტორი საქართველოში

შინაარსი

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორი (ICT) საქართველოში

- სექტორის წვლილი ეკონომიკაში და ზრდის დინამიკა
- სექტორის საექსპორტო პოტენციალი

IT სექტორი საქართველოში

- სექტორის შემოსავლები და ექსპორტი
- დასაქმება და ხელფასები
- სამუშაო ძალის შეფასება
- IT კომპანიები
- საგადასახადო შეღავათები
- ზრდის ხელშემწყობი ფაქტორები
- საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში
- სექტორის პოტენციალი

დანართები

ძირითადი მიგნებები

საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორი (ICT) საქართველოში ყველაზე სწრაფად მზარდი დარგია 2022 წლიდან, რაც ძირითადად IT მიმართულებითაა განპირობებული. დარგი ექსპორტზეა ორიენტირებული, რომლის მოცულობამ 2023 წელს $892 მლნ შეადგინა. ზრდის პოტენციალი მაღალია, რასაც მათ შორის ერთ სულ მოსახლეზე ექსპორტის შედარება მიანიშნებს. 2023 წელს საქართველოდან ICT ექსპორტი 1 სულ მოსახლეზე $243 იყო, რაც ჩამორჩება როგორც სომხეთის ($362), ისე ევროკავშირის ქვეყნების (პორტუგალია $442, ხორვატია $478, სლოვენია $521, ლიეტუვა $818) მაჩვენებლებს.

IT სექტორის შემოსავლები 2023 წელს 2.4 მილიარდ ლარამდე გაიზარდა, აქედან 2.1 მილიარდი ლარი სერვისის ექსპორტით დაგენერირდა. ექსპორტის ყველაზე დიდი ნაწილი 26% აშშ-ში განხორციელდა, შემდეგ მოდის დიდი ბრიტანეთი (15%) და მალტა (11%).

IT სექტორის ზრდის ხელშემწყობი ფაქტორები: სექტორის ზრდას თავდაპირველად საგადასახადო შეღავათებმა მისცა ბიძგი. 2022 წლიდან სექტორის ზრდა დაჩქარდა რუსეთ-უკრაინის ომის შემდეგ საერთაშორისო კომპანიების და IT სპეციალისტების საქართველოში რელოკაციის შედეგად. სხვა ხელშემწყობი ფაქტორებიდან აღსანიშნავია ინტერნეტის დაბალი ფასი, სამუშაო მაგიდის კონკურენტული ღირებულება და ცხოვრების დაბალი ხარჯები გლობალურად მიმზიდველ სხვა ლოკაციებთან შედარებით. მიმზიდველობას ასევე აძლიერებს უცხოელი სპეციალისტებისთვის მისაღები გარემო და ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა.

სამუშაო ძალა და ხელფასები. IT სექტორში დასაქმებულების რაოდენობამ 2023 წელს 30.2 ათასი ადამიანი შეადგინა, როცა დარგი 2021 წელს 5,000-მდე ადამიანს ასაქმებდა. ამასთან, საშუალო ხელფასი ამ სექტორში 6,940 ლარია, რაც გაორმაგებულია 2021 წელთან შედარებით.

კომპანიების რაოდენობა. IT სექტორში 24,117 კომპანია ოპერირებს. აქედან, საშუალო და მსხვილი ზომის კომპანიების რაოდენობა 72-ია და დანარჩენი ძირითადად უცხოელი ინდივიდუალური მეწარმეები არიან, რაც მიგრანტების ეფექტს უკავშირდება.

სექტორის გამოწვევები. სექტორის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევებია კვალიფიციური მუშახელის ნაკლებობა (რაც საერთაშორისო ინდექსებშიც ჩანს) და ინტერნეტის დაბალი სიჩქარე. ასევე კადრების შესაძლო გადინება როგორც მიგრანტების, ისე ადგილობრივი სპეციალიტების სახით.

სექტორის პოტენციალი. გლობალურად IT სერვისებზე სწრაფად მზარდი მოთხოვნის და ქართული კომპანიების გლობალური მიწოდების ჯაჭვებში ჩართულობის გათვალისწინებით, საექსპორტო პოტენციალი მაღალია და საშუალოვადიან პერიოდში ექსპორტის გაორმაგებაა მოსალოდნელი. ამასთან, დარგისთვის ადგილობრივი ბაზრის ათვისება დამატებითი პოტენციალია - საქართველოში ბიზნესის მიერ ტექნოლოგიების გამოყენების დონე დაბალია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის საშუალოს. ამ პოტენციალის ათვისებისთვის მიზანშეწონილია IT სერვისებზე საგადასახადო შეღავათები საქართველოში გაწეულ მომსახურებაზეც გავრცელდეს, რაც ასევე ეკონომიკურ ზრდას და პროდუქტიულობას დააჩქარებს.

ICT საქართველოს ეკონომიკაში

ICT ყველაზე სწრაფად მზარდი დარგია და ექსპორტზეა ორიენტირებული

საქართველოს ეკონომიკური ზრდა და ICT სექტორის რეალური ზრდა



ICT სექტორის ექსპორტი, $ მლნ



ეკონომიკა სექტორების მიხედვით, 2023 წელი



ICT სექტორი 2022 წლიდან ყველაზე სწრაფად მზარდი დარგია.

სექტორი ექსპორტზეა ორიენტირებული. საექსპორტო შემოსავლები 2021-23 წლებში გაოთხმაგდა და $892 მლნ შეადგინა 2023 წელს.

სწრაფი ზრდის შედეგად ICT ეკონომიკის მე-8 ყველაზე მხსვილი სეტორია.

წყარო: საქსტატი, სებ

ექსპორტის პოტენციალი

ICT სერვისების ექსპორტის პოტენციალი ჯერ კიდევ ასათვისებელია

ICT სერვისების ექსპორტი ერთ სულ მოსახლეზე - შედარება რეგიონის ქვეყნებთან და გლობალურ ლიდერებთან, $



ზრდის პოტენციალზე მიუთითებს სხვა ქვეყნებთან შედარება - 2023 წელს საქართველოდან ICT ექსპორტი 1 სულ მოსახლეზე $243 იყო, რაც მკვეთრად ჩამორჩება როგორც სომხეთის, ისე ევროკავშირის ქვეყნების მაჩვენებლებს.

წყარო: მსოფლიო ბანკი, გალტ & თაგარტი

სექტორის შემოსავლები

ICT სექტორის ზრდის ძირითადი კონტრიბუტორი კომპიუტერული პროგრამირების ქვესექტორი იყო

ICT სექტორის შემოსავლების განაწილება ქვესექტორებად, მლრდ ლარი



ICT სექტორის ზრდა მკვეთრად დაჩქარდა 2022-23 წლებში და ბრუნვამ 5.1 მლრდ ლარი შეადგინა 2023 წელს. ზრდის ძირითადი წარმმართველი კომპიუტერული პროგრამირების ქვესექტორი იყო, კერძოდ:

- **კომპიუტერული პროგრამირების** ქვესექტორმა ICT სექტორის ბრუნვის 39% დააგენერირა. 2017-2023 წლებში, ეს ქვესექტორი ყველაზე სწრაფად 51.9%-იანი CAGR-ით გაიზარდა.
- **ტელეკომუნიკაციები** ტრადიციულად ყველაზე დიდი ქვესექტორი იყო, თუმცა 2023 წელს მე-2 ადგილზე გადაინაცვლა 37%-იანი წილით.
- **საინფორმაციო მომსახურების** ქვესექტორის წილი 10%-ის ფარგლებშია და მეორე ყველაზე მზარდი ქვესექტორი იყო 2017-23 წლებში 44.5%-იანი CAGR-ით.
- **საგამომცემლო საქმიანობის** ქვესექტორის წილი 10%-ის ფარგლებშია და მოიაზრებს როგორც პროგრამული უზრუნველყოფის, ასევე წიგნების გამოცემას. სექტორი 2017-23 წლებში 37.9%-იანი CAGR-ით გაიზარდა.

წყარო: საქსტატი

შენიშვნა: 2023 წელი არის წინასწარი მონაცემები

IT სექტორი

- სექტორის შემოსავლები და ექსპორტი
- დასაქმება და ხელფასები
- სამუშაო ძალის შეფასება
- IT კომპანიები
- საგადასახადო შეღავათები
- ზრდის ხელშემწყობი ფაქტორები
- საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში
- სექტორის პოტენციალი

IT სექტორის დინამიკა 2017-23 წლებში

სექტორის ბრუნვა, მლრდ ლარი



14.3x

IT სექტორის ბრუნვა 2017-23 წლებში 14.3-ჯერ გაიზარდა და 2.4 მილიარდ ლარს მიაღწია 2023 წელს.

IT სერვისების ექსპორტი, მლრდ ლარი



13.3x

სექტორის ბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდა სერვისების გაზრდილმა ექსპორტმა განაპირობა, რამაც 2.1 მილიარდი ლარი შეადგინა 2023 წელს.

დასაქმებულთა რაოდენობა, ათასი კაცი



11.2x

სექტორი მიმზიდველი დამსაქმებელი გახდა და 2023 წელს დასაქმებულთა რაოდენობამ 30.2 ათასი ადამიანი შეადგინა, საიდანაც 70-75% უცხო ქვეყნის მოქალაქეა, ჩვენი შეფასებით.

საშუალო ხელფასი, ლარი



3.5x

სექტორის პოპულარობა კონკურენტულ და მზარდ ანაზღაურებას უკავშირდება. საშუალო ანაზღაურება 6,940 ლარი იყო 2023 წელს.

წყარო: საქსტატი, სებ, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: IT სექტორში ვაერთიანებთ კომპიუტერული პროგრამირებისა (NACE 62) და პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემის (NACE 58.2) საქმიანობებს, ხოლო ექსპორტში კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურების ექსპორტს

შემოსავლები და ექსპორტი

IT სექტორის შემოსავლების 85% სერვისის ექსპორტით გენერირდება

IT სექტორის შემოსავლები საქართველოში, მლრდ ლარი



IT სექტორის შემოსავლები მზარდია 2021 წლიდან, რაც საგადასახადო შეღავათებსა და რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ IT კომპანიების რელოკაციას უკავშირდება.

IT სერვისების ექსპორტი საქართველოდან, მლრდ ლარი



IT სექტორის შემოსავლების 85% IT სერვისების ექსპორტით დაგენერირდა 2023 წელს. IT სერვისების ექსპორტის 26% აშშ-ში განხორციელდა, 15% დიდ ბრიტანეთში, 11% მალტაში, ხოლო 9% ნიდერლანდებში, 2022 წლის მდგომარეობით. ექსპორტის ზრდა საერთაშორისო IT კომპანიების/სპეციალისტების საქართველოში შემოსვლითაა განპირობებული.

წყარო: საქსტატი, სებ, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: 2023 წელი არის წინასწარი მონაცემები

დასაქმება და ხელფასები

2022-23 წლებში დასაქმება მკვეთრად გაიზარდა და IT სექტორი ყველაზე მაღალანაზღაურებადი დარგია

IT სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა, '000 კაცი



IT სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის მკვეთრი ზრდა მიგრანტების ეფექტს და სხვა სექტორებიდან მუშახელის რელოკაციას უკავშირდება. ჩვენი შეფასებით, სექტორში დასაქმებულების 70-75% უცხოელია.

საშუალო ანაზღაურება IT სექტორსა და ბიზნეს სექტორში, ლარი



IT სექტორში საშუალო ანაზღაურება 6,940 ლარს შეადგენდა 2023 წელს, რაც 3.5-ჯერ აღემატება ბიზნეს სექტორის საშუალოს.

წყარო: საქსტატი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: 2023 წელი არის წინასწარი მონაცემები

სამუშაო ძალის შეფასება

ქვეყანაში IT სპეციალისტების რაოდენობა IT სექტორის დასაქმების სტატისტიკაში მოცემულ მაჩვენებლებზე ბევრად მაღალია

დეველოპერების რაოდენობა Github-ზე საქართველოდან, '000



ორგანიზაციების რაოდენობა Github-ზე საქართველოდან



ატვირთული კოდების რაოდენობა Github-ზე საქართველოდან, '000



დეველოპერების განაწილება პროგრამირების ენის მიხედვით Github-ზე საქართველოდან, 2023



Github-ზე საქართველოდან დარეგისტრირებული დეველოპერების რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა და 2023 წლის მდგომარეობით 110 ათასს აჭარბებს. ეს ციფრი ასახავს სხვა დარგებში დასაქმებულ IT სპეციალისტებსაც, შესაბამისად ქვეყანაში არსებული სამუშაო ძალის მიახლოებით საზომად შეიძლება მივიჩნიოთ.

საქართველოდან ატვირთული კოდების რაოდენობამ პიკს 2023 წლის პირველ კვარტალში მიაღწია, ხოლო შემდგომი შემცირება მიგრანტების ნაწილის გადინებას შეიძლება უკავშირდებოდეს.

საქართველოდან Github-ზე ატვირთული კოდებია პროგრამული ენების მიხედვით, ყველაზე მეტი კოდი HTML-ში დაიწერა, შემდეგ მოდის JavaScript და CSS.

წყარო: Github (პლატფორმა დეველოპერების კოლაბორაციისთვის)

შენიშვნა: დეველოპერების განაწილება პროგრამირების ენის მიხედვით გულისხმობს იმ უნიკალური დეველოპერების განაწილებას, რომლებმაც ერთხელ მაინც დაწერეს შესაბამისი პროგრამული ენის კოდი მიმდინარე პერიოდში

IT სპეციალისტების მომზადება

სპეციალობის პოპულარობა მზარდია აბიტურიენტებში

ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა კომპიუტერული პროგრამირების ფაკულტეტზე სასწავლო წლის მიხედვით



- IT პროგრამებზე ჩარიცხვები მზარდია, კოვიდ პანდემიის პერიოდში დროებითი შემცირების შემდეგ.
- ყოველწლიურად საშუალოდ 3,000-ზე მეტი სტუდენტი აბარებს IT ფაკულტეტზე და 2023/24 სასწავლო წლის მდგომარეობით IT პროგრამებზე **11,122** სტუდენტი სწავლობს.
- საქართველოში IT პროგრამები 21 უნივერსიტეტში ისწავლება. დარგის დინამიკიდან გამომდინარე, აუცილებელია სასწავლო პროგრამებისა და კურსების რაოდენობის ზრდა.
- 2023 წელს პროგრამისტის პოზიციაზე 4,000-მდე ვაკანსია გამოცხადდა და მოთხოვნა დინამიკაში მზარდია.

KUTAISI INTERNATIONAL UNIVERSITY

BTU

CAUCASUS UNIVERSITY

წყარო: საქსტატი

შენიშვნა: ჩარიცხვები მოიცავს ბაკალავრიატს, მაგისტრატურასა და პროფესიულ პროგრამებს

IT კომპანიები

ძირითადი ნაწილი უცხოური კომპანიები არიან და ინდივიდუალური მეწარმეები ჭარბობენ

კომპანიების განაწილება საკუთრების ფორმის მიხედვით



2024 წლის მაისის მდგომარეობით, 24,117 IT კომპანია ოპერირებდა საქართველოში, საიდანაც 84% უცხოური წარმომავლობისაა.

კომპანიების განაწილება ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმის მიხედვით



IT კომპანიების 93% ინდივიდუალური მეწარმე იყო. უმეტესი ნაწილი რუსეთიდან, უკრაინიდან და ბელორუსიდან შემოსულ მიგრანტებზე მოდის.

კომპანიების რაოდენობა ზომის მიხედვით

კომპანიის ზომა	რაოდენობა
მსხვილი	7
საშუალო	65
მცირე	22,341
ზომა უცნობია	1,704
სულ	**24,117**

ინდ. მეწარმის ფორმის სიმრავლიდან გამომდინარე, IT კომპანიების უმრავლესობა მცირე ზომისაა.

წყარო: საქსტატი

შენიშვნა: 2024 წლის მაისის მონაცემები; მცირე - (თანამშრომელი <=50, წლიური შემოსავალი <=₾12 მლნ), საშუალო - (თანამშრომელი 50-250, წლიური შემოსავალი ₾12-60 მლნ), მსხვილი - (თანამშრომელი 250+ ან წლიური შემოსავალი ₾60 მლნ+)

საგადასახადო შეღავათები

IT სექტორის ზრდა უკავშირდება საგადასახადო შეღავათებსა და სხვა სახელმწიფო ინიციატივებს

გადასახადების შედარება: IT სეექტორი vs სტანდარტული განაკვეთი

	საგადასახადო შეღავათი	სტანდარტული განაკვეთი
მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე	5%	15%
საშემოსავლო გადასახადი	5%	20%
დღგ	0%	18%
დივიდენდის გადასახადი	0%	5%

- 2020 წლის სექტემბრიდან საქართველოში მოქმედებს მთავრობის შეღავათიანი საგადასახადო პოლიტიკა IT სექტორში დაკავებული საერთაშორისო კომპანიების მიმართ (მეტი დეტალისთვის იხილეთ დანართი 1).
- FDI გრანტის მიღების შესაძლებლობა სამთავრობო ორგანიზაცია აწარმოე საქართველოსგან (მეტი დეტალისთვის იხილეთ დანართი 2).
- IT პროფესიონალების გადამზადების პროგრამა „Do IT In Georgia"-სა და GITA-ს თამნამშრომლობით, რომლის ფარგლებშიც 4,000-მდე პროფესიონალი გადამზადდა. კომპანიების შიდა (in-house) ტრენინგები.

წყარო: საქართველოს საგადასახადო კოდექსი

საერთაშორისო კომპანიები

საგადასახადო შეღავათების დაწესებამ ბიძგი მისცა საქართველოში საერთაშორისო კომპანიების შემოსვლას

IT კომპანიების განაწილება უცხოური და ადგილობრივი კაპიტალის მიხედვით



საერთაშორისო კომპანიები, რომლებიც საქართველოში ოპერირებენ

epam, JettyCLOUD, Combined Ratio Solutions, Lineate, webiz, ONAIR entertainment, asseco, sweeft, exactpro, GODEL TECHNOLOGIES, Teleperformance, Flutter, prodware, CONCENTRIX, Evolution, majorel, olmait, EXADEL, AnyDesk, Rakuten Viber

ტოპ-10 IT კომპანიის შემოსავლები, 2022

კომპანიის დასახელება	შემოსავალი მლნ ლარი
Epam Systems Georgia	514.4
Exadel Georgia	30.1
Global Software Technology	28.0
Exactpro Systems Georgia	23.3
Software Country Georgia	21.3
InterMedia Technologies Georgia	19.8
Webiz International	17.8
IT Garage	17.5
SmartSoft	15.8
AzRy	14.9

სექტორში ჯამურად მსხვილი და საშუალო კომპანიების რაოდენობა 72-ია. ამასთან, უცხოური წარმომავლობის IT კომპანიების წილი 84%-ია.

საგადასახადო შეღავათების შემდეგ, საქართველოში საერთაშორისო კომპანიებმა აქტიურად დაიწყეს შემოსვლა, მათ შორის Epam, Lineate, Sweeft Digital და სხვ.

წყარო: საქსტატი

სხვა ხელშემწყობი ფაქტორები

ინტერნეტის, ცხოვრების და სხვა ხარჯების დაბალი დონე მიმზიდველია საერთაშორისო კომპანიებისა და IT სპეციალისტებისთვის

ფიქსირებული ინტერნეტის პაკეტის ფასი 2022 წელს, აშშ დოლარი



ფიქსირებული ინტერნეტის ფასი საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტულია, თუმცა სისწრაფის კუთხით არსებობს გაუმჯობესების პოტენციალი.

სამუშაო მაგიდის საშუალო თვიური ქირა 2022 წელს, აშშ დოლარი



Co-working სივრცეების ფასი ხელმისაწვდომია საქართველოში, რასაც მიწოდების მნიშვნელოვანმა ზრდამ შეუწყო ხელი ბოლო წლებში.

ცხოვრების ხარჯები 2023 წელს, აშშ დოლარი



საქართველოში ცხოვრების ხარჯები დაბალია სხვა გლობალურად მიმზიდველ ლოკაციებთან შედარებით და 2023 წლის მდგომარეობით $588 შეადგინა.

წყარო: ITU, Coworking insights, Numbeo

შენიშვნა: ცხოვრების ხარჯებში არ შედის ქირის ხარჯი

სხვა ქვეყნებთან შედარება

კონკურენტული ანაზღაურება და დაბალი საცხოვრებელი ხარჯები საქართველოს მიმზიდველს ხდის

პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერის საშუალო ხელფასი, აშშ დოლარი



საშუალო ხელფასის ფარდობა ცხოვრების ხარჯებთან



საშუალო ანაზღაურება თბილისში აჭარბებს ზოგიერთი ევროპული ქალაქის მაჩვენებელს.

ამასთან, ცხოვრების ხარჯები თბილისში შედარებით დაბალია, რაც მიმზიდველს ხდის უცხოელი მუშახელისთვის.

წყარო: Glassdoor, Numbeo, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: ხელფასი მოცემულია საშემოსავლო გადასახადის შემდეგ; ცხოვრების ხარჯებში არ შედის ქირის ხარჯი

საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში

ტალანტების კონკურენტუნარიანობის და ICT განვითარების ინდექსებში საქართველოს კარგი პოზიციები აქვს

ტალანტების კონკურენტუნარიოანობის გლობალური ინდექსი, 2023



ეს ინდექსი აფასებს ქვეყნის უნარს მოიზიდოს, განავითაროს და შეინარჩუნოს ტალანტები. ამ ინდექსში საქართველო 134 ქვეყნიდან 46-ე ადგილზეა და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებთან ახლოსაა.

წყარო: INSEAD

შენიშვნა: სულ აფასებს 134 ქვეყანას - 1 საუკეთესო, 134 ყველაზე ცუდი მაჩვენებელი

ICT განვითარების ინდექსი, 2023



ეს ინდექსი აფასებს ICT ინფრასტრუქტურის მდგომარეობას, დანერგვასა და გამოყენებას. მსოფლიოს 169 ქვეყნიდან საქართველოს ქულა (85.1) მსოფლიოს საშუალოზე (72.8) მაღალია და ჩამორჩება ევროპის საშუალოს (88.4).

წყარო: ITU, UN

შენიშვნა: სულ აფასებს 169 ქვეყანას - 100 საუკეთესო, 0 ყველაზე ცუდი მაჩვენებელი

საქართველო საერთაშორისო რეიტინგებში

გლობალური სერვისების რუკაზე საქართველოს ძლიერი მხარეა დაბალი ხარჯები და მიმზიდველი ბიზნეს გარემო

გლობალური სერვისების ლოკაციის ინდექსი, 2023



წყარო: Kearney

გლობალური სერვისების ლოკაციის 2023 წლის ინდექსი (GSLI) მოიცავს 78 ქვეყანას და ეფუძნება 4 ძირითად ინდიკატორს:

1. **ფინანსური მიმზიდველობა:** სამუშაო ძალის და ინფრასტრუქტურის ხარჯები
2. **ტალანტის ხელმისაწვდომობა:** ტალანტების რაოდენობა და ხარისხი
3. **ბიზნეს გარემო**: პოლიტიკური, ეკონომიკური, მარეგულირებელი და კულტურული ასპექტები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის კეთების სიმარტივეზე
4. **ციფრული განვითარება:** სამუშაო ძალის ციფრული უნარები და ბიზნესების მიერ ციფრული ტექნოლოგიების ათვისება

საქართველოს ამ ინდექსში 78 ქვეყნიდან 24-ე ადგილზეა. ქვეყნის ძირითადი სიძლიერე ფინანსური მიზიდველობა და ბიზნეს გარემოა, მთავარი სისუსტე კი ციფრული განვითარებაა.

ინტერნეტის სიჩქარე

მობილური და ფიქსირებული ინტერნეტის სიჩქარე საქართველოში გასაუმჯობესებელია

მობილური ინტერნეტის სიჩქარე, მბ/წმ 2024



ფიქსირებული ინტერნეტის სიჩქარე, მბ/წმ 2024



საქართველო ინტერნეტის სიჩქარის კუთხით მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროპის ქვეყნების მაჩვენებლებს როგორც მობილური, ისე ფიქსირებული ინტერნეტის ჭრილში, რაც მნიშვნელოვანი პრობლემაა კომპანიებისთვის. მობილური ინტერნეტის სიჩქარის გასაუმჯობესებლად 5G ტექნოლოგიის უფრო აქტიური და ფართო გავრცელებაა საჭირო. ამასთან, ფიქსირებული ინტერნეტის კუთხით, Starlink-ი შემოვიდა საქართველოში, რაც კომპანიებს სწრაფ ინტერნეტზე წვდომას აძლევს.

წყარო: Speedtest.net

ადგილობრივი ბაზრის პოტენციალი

ქართულ კომპანიებში ტექნოლოგიების გამოყენების დონე დაბალია და ჩამორჩება EU-ს საშუალოს, რაც ადგილობრივი ბაზრის ათვისების პოტენციალზე მიუთითებს

ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში, 2022



- საქართველოში ბიზნესის მიერ ტექნოლოგიების გამოყენების დონე დაბალია და მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის საშუალოს. მაგალითისთვის, საქართველოში კომპანიების მხოლოდ 13.4%-ს აქვს ვებ-გვერდი, და ეს მაჩვენებელი EU-ში 78.1%-ია. ასევე დაბალია ელექტრონული კომერციის გამოყენება.
- შესაბამისად, საექსპორტო პოტენციალის ათვისების გარდა, დარგის განვითარებისთვის ადგილობრივი ბაზრის ათვისების პოტენციალია.
- საქართველოში მოქმედ IT კომპანიებზე საგადასახადო შეღავათები მხოლოდ საექსპორტო სერვისებზე ვრცელდება და ქართულ ბიზნესებს IT სერვისებზე შეღავათიან ფასად წვდომის შესაძლებლობა არ აქვთ. შესაბამისად, მიზანშეწონილია IT კომპანიებზე საგადასახადო შეღავათები ადგილობრივ ბაზარზე გაწეულ მომსახურებაზეც გავრცელდეს, რაც დააჩქარებს ქვეყნის დიჯიტალიზაციის პროცესს და გაზრდის პროდუქტიულობას.

წყარო: საქსტატი, Eurostat

დანართები

დანართი 1: საგადასახადო შეღავათები

საერთაშორისო კომპანიის სტატუსი ანიჭებს IT კომპანიებს შეღავათიან საგადასახადო რეჟიმს, კერძოდ:

- 5% მოგების გადასახადი (სტანდარტული განაკვეთი 15%). გადასახადით იბეგრება მხოლოდ განაწილებული მოგება. რეინვესტირებული ან გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება.
- 0% დივიდენდების გადასახადი (5%-ის ნაცვლად).
- 5% საშემოსავლო გადასახადი (20%-ის ნაცვლად) + სტანდარტული 2% საპენსიო შენატანი საქართველოს რეზიდენტებისთვის.
- 0% ქონების გადასახადი (მიწის გარდა) ქონებაზე, თუ ეს ქონება განკუთვნილია ან გამოიყენება საერთაშორისო კომპანიის ნებადართული საქმიანობის განსახორციელებლად (1%-ის ნაცვლად).

შეღავათების გავრცელება:

- განმცხადებელს უნდა ჰქონდეს (როგორც განაცხადის შეტანის დროს, ასევე შემდგომში) წლიური შემოსავლის არანაკლებ 98% მიღებული IT საქმიანობიდან და უცხოეთიდან.
- ამ სტატუსის მსურველი კომპანია უნდა იყოს ქართული საწარმო, რომელიც მუშაობს მოცემულ სექტორებში 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.
- ან იყოს ქართული საწარმო, რომელიც წარმოადგენს უცხოურ (არარეზიდენტ) საწარმოს. არარეზიდენტი საწარმო უნდა მუშაობდეს 2 წელზე მეტი ხნის განმავლობაში IT სექტორში.
- ან საქართველოს საწარმო (განმცხადებელი), რომელიც ეკუთვნის სხვა საწარმოს (მშობელი – ქართველი ან არარეზიდენტი). დედა კომპანიას უნდა ჰქონდეს 2+ წლიანი გამოცდილება IT სექტორში და საქართველოს საწარმოს 50%-ზე მეტი მფლობელობა.
- საქართველოს საწარმო არ შეიძლება შეიქმნას თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში.
- ქართულ საწარმო ფიზიკურად უნდა იყოს საქართველოში, რაც ნიშნავს, რომ საწარმომ უნდა განახორციელოს ძირითადი შემოსავლის მომტანი საქმიანობა საქართველოში და ჰქონდეს ადეკვატური ადამიანური რესურსი ასეთი საქმიანობის განსახორციელებლად, საჭირო კვალიფიკაციით.

აპლიკაციის პროცესი:

განაცხადი უნდა განხორციელდეს RS.ge (შემოსავლების სამსახური) ონლაინ პორტალზე. შემოსავლების სამსახურს დასჭირდება 10 სამუშაო დღე განაცხადის შესაფასებლად. რეგისტრაციისას საჭიროა შემდეგი დოკუმენტები:

- საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემები (საიდენტიფიკაციო ნომერი, დასახელება, იურიდიული ფორმა). იმ შემთხვევაში, თუ არარეზიდენტი საწარმო, რომელსაც აქვს 2+ წლიანი მუშაობის გამოცდილება.
- საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართები (საქმიანობის ადგილი).
- ბიზნესის ნებადართული საქმიანობის ტიპი.
- ადგილი, საიდანაც ხდება მომსახურების გაწევა (ე.ი. საქართველო).
- განცხადების წარდგენის თარიღი და უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა.

დანართი 2: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხარდაჭერის მექანიზმი: FDI გრანტი საქართველოში

საქართველოს მთავრობა ხელს უწყობს უცხოურ საინვესტიციო პროექტებს კაპიტალური დანახარჯებისა და ტრენინგის ხარჯების 15%-იანი ფულადი სახსრების უზრუნველყოფის გზით. პროგრამას ახორციელებს სსიპ აწარმოე საართველო (Invest in Georgia) და მიზნად ისახავს გაზარდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, გააძლიეროს ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერი და საქართველოში სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირება.

კომპანიები, რომლებზეც ვრცელდება საგრანტო პროგრამა:
საქართველოში რეგისტრირებული კომპანიები, რომლებიც მოქმედებენ როგორც უცხოური სუბიექტების შვილობილი კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ კაპიტალს ქვეყანაში.

უნდა აკმაყოფილებდეს სპეციფიკურ კრიტერიუმებს, მათ შორის კომპანიის რეგისტრაციას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, უცხოური საკუთრება ხმის უფლების მქონე აქციების არანაკლებ 50%-ზე და ინვესტიციები შესაბამის სექტორებში.

უცხოური ინვესტიციებით უზრუნველყოფილი საინვესტიციო ვალდებულებები განსხვავდება სექტორის მიხედვით და მოითხოვს, რომ დედა კომპანიას ჰქონდეს მინიმუმ ორწლიანი შესაბამისი გამოცდილება.

ეკონომიკის სექტორები, რომლებზეც ვრცელდება საგრანტო პროგრამა:

- ელექტრო და ელექტრონული საინჟინრო პროდუქციის წარმოება
- თვითმფრინავის ნაწილების და კომპონენტების წარმოება
- მანქანებისა და აღჭურვილობის, მათ შორის ნაწილების წარმოება
- ბიზნეს სერვისების/ბიზნეს პროცესის აუთსორსინგი (BPO) და გლობალური ბიზნეს სერვისების (GBS) ექსპორტი
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT)
- საწყობების და ლოჯისტიკური ცენტრების განვითარება
- თვითმფრინავების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება

საგრანტო დაფარვა:
პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გრანტი ანაზღაურებს კაპიტალურ ხარჯებს და სამუშაო ძალის ტრენინგს.

კაპიტალური ხარჯები მოიცავს მატერიალურ და არამატერიალურ აქტივების ხარჯებს, რომელთა სასარგებლო ვადა ერთ წელზე მეტია.

სამუშაო ძალის ტრენინგის ხარჯები მოიცავს ხელფასებს, ტრენინგ მომსახურებას, მოგზაურობას, განსახლებას და აღჭურვილობის შეძენას/დაქირავებას.

თანხა:
გრანტის თანხა განისაზღვრება დასაშვები ხარჯების 15%-ზე.

ფულადი სახსრების კვალიფიკაციის მისაღებად, კომპანიებმა უნდა შეასრულონ თავიანთი ეკონომიკური სექტორისთვის სპეციფიკური საინვესტიციო ვალდებულებები, უზრუნველყონ როგორც საინვესტიციო მიზნების, ასევე სამუშაო ადგილების შექმნის მიზნების შესრულება.

დანართი 3: IT საქმიანობების განმარტებები

კომპიუტერული პროგრამირებისა და საკონსულტაციო მომსახურება - აღნიშნული საქმიანობა მოიცავს: პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება, კომპიუტერული სისტემების განვითარება და შექმნა, რომელიც აერთიანებს კომპიუტერულ ტექნიკას, კლიენტთა კომპიუტერული სისტემების ან/და მონაცემთა დამუშავების საშუალებების მართვასა და კომპიუტერულ დაპროგრამებასთან დაკავშირებულ სხვა პროფესიულ თუ ტექნიკურ აქტივობებს.

პროგრამული უზრუნველყოფის გამოცემა - საქმიანობა მოიცავს კომპიუტერული თამაშების, ოპერაციული სისტემებისა და ბიზნეს აპლიკაციების (მათ შორის ERP სისტემების) გამოქვეყნებას.

ვებ პორტალები - საქმიანობა მოიცავს იმ ვებ-გვერდთა შემუშავებას, რომლებიც იყენებენ საძიებო სისტემას, ინტერნეტ მისამართებისა და შინაარსის ფართო მონაცემთა ბაზის შესაქმნელად, და სხვა ვებ-გვერდების ფუნქციონირებას, რომლებიც მოქმედებენ როგორც ინტერნეტ პორტალები. მაგალითად, მედია საიტები, რომლებიც პერიოდულად აწარმოებენ შინაარის (კონტენტის) განახლებას.

მონაცემთა დამუშავება და ჰოსტინგი - საქმიანობა მოიცავს ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფას ჰოსთინგისთვის, მონაცემთა დამუშავებისა და მასთან დაკავშირებული საქმიანობებისთვის ვებ-ჰოსთინგს, სთრიმინგ სერვისს, აპლიკაციის ჰოსთინგის სერვისის უზრუნველყოფისა და მონაცემთა დამუშავების აქტივობებს.

საქმიანობები, რომლებსაც ეხება საერთაშორისო კომპანიის სტატუსის საგადასახადო შეღავათები

- ციფრული პროდუქტის დამზადება ან/და მიწოდება, პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერისა და მისი განახლებული ვერსიის მიწოდების ჩათვლით;
- ვებგვერდის დამზადება ან/და მიწოდება;
- ვებჰოსთინგი, პროგრამული უზრუნველყოფისა და აპარატურის დისტანციური ტექნიკური მომსახურება;
- პროგრამული უზრუნველყოფა და შესაბამისი განახლება;
- გამოსახულებების, ტექსტებისა და ინფორმაციის მიწოდება, მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით;
- სისტემის დისტანციური ადმინისტრირება;
- მეხსიერების გამოყოფილი მოცულობის ონლაინმიწოდება;
- პროგრამულ უზრუნველყოფაზე წვდომა ან ჩამოტვირთვა (შესყიდვების/ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამების ან ანტივირუსული პროგრამების ჩათვლით) და მისი განახლებები;
- ბანერული რეკლამების ბლოკირების პროგრამები;
- ჩამოსატვირთი დრაივერები, როგორიცაა პროგრამული უზრუნველყოფები, რომლებიც კომპიუტერებს უკავშირებს პერიფერიულ მოწყობილობებს (როგორიცაა, მაგ., პრინტერი);
- ვებსაიტებზე ფილტრების ავტომატური ონლაინინსტალაცია;
- ბრენდმაუერების (ფაიერვოლების) ავტომატური ონლაინინსტალაცია;
- გემთმფლობელის მიერ ან/და მისთვის გემის ფლობასთან დაკავშირებული კომერციული და ტექნიკური მომსახურებები.

დანართი 4: ფიქსირებულ ინტერნეტზე წვდომა საქართველოში

ფიქსირებული ინტერნეტის პენეტრაცია საქართველოში, მარტი-2024



წყარო: საქართველოს ეროვნული კომუნიკაციების კომისია

კვლევების დეპარტამენტის უფროსი
ევა ბოჭორიშვილი
evabochorishvili@gt.ge

სექტორული კვლევების უფროსი
კახა სამყურაშვილი
ksamkurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი
მარიამ ოქროპირიძე
maokropiridze@gt.ge

მისამართი:
ალექსანდრე პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: research@gt.ge

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

Galt & Taggart-ის ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, Galt & Taggart-ის მხრიდან. Galt & Taggart-ი პასუხისმგებლობას არ იღებს ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე. ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი.

ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიაჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და Galt & Taggart-ს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. Galt & Taggart-ის მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ Galt & Taggart-ის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია.00